ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 19 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ბ. ქირია, ი. ნადარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პრემიების გაცემა გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებზე თუ არის შესაძლებელი, მაშინ კეთილი ვინებოთ და ა(ა)იპი-ების თანამშრომლებზეც გაიცეს შესაძლებლობის ფარგლებში და მარტო საკუთარ თავზე ნუ ფიქრობთ, მათაც გააჩნიათ ოჯახები, მითუმეტეს ხელფასიც მწირი აქვთ. ასევე აღნიშნა, რომ არ მოისმენდა საკრებულოს 2015 წლის ანგარიშს, რათა ანგარიში იქნებოდა ზედმეტად შელამაზებული.

ე. ჯობავა - განუმარტა გამომსვლელს, რომ გაკეთებულიც ბევრია, ხობის მუნიციპალიტეტშიც და მთლიანად ქვეყანაშიც, რაც შეეხება გასაკეთებელს ეტაპობრივად ისინიც განხორციელდება და სთხოვა თავი შეეკავებინა ზედმეტი რეპლიკისგან.

მ. ლაგვილავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მართალია მუნიციპალიტეტში ბევრი პროექტია განხორციელებული, მაგრამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი შემოსავალი ყულევის ტერმინალიდან შემოდის, მართალია გზა კეთდება, მაგრამ რჩება ნახევარი კილომეტრიანი მჭიდროდ დასახლებული მონაკვეთი, სადაც გზა გაუვალია და საშინელი მტვერია, თუ შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ყულევის ტერმინალის ხელმძღვანელობასთან დაესვა საკითხი ამ გზის მონაკვეთის მოასფალტების თაობაზე. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა სოფლებში არსებულ 9 მაისის მემორიალებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდეს მათი რეაბილიტაცია და შესაბამისი სამსახურების მხრიდან მოვლა-პატრონობა

ვ. **გაბედავა** - აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ამ ეტაპზე ბიუჯეტში არ გააჩნიათ შესაბამისი თანხები, რაც სოფლებში არსებული მემორიალების კეთილმოსაწყობად იქნებოდა საჭირო, თუმცა აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთმა სოფელმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეძლო აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ე. **ჯობავა** - გამომსვლელმა მზადყოფნა გამოთქვა ყულევის ტერმინალის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობის თაობაზე, აღნიშნული გზის რეაპილიტაციასთან დაკავშირებით და მიმართა მ. ლაგვილავას ერთობლივად მოემზადებინათ შუამდგომლობის წერილი.

მ. **ქარდავა** - მიმართა წინა გამომსვლელს (მ. ლაგვილავა) კითხვები დაესვა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და თავი შეეკავებინა პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან და თუ მაინცდამაინც საჭიროება ითხოვდა, შესაძლებელი იყო საკითხების განხილვის შემდგომ გამოეთქვა მოსაზრებები მისთვის საინტერესო თემებზე.

მ. **ლაგვილავა** - განაცხადა, რომ ყველას აქვს უფლება სხდომაზე დასვას კითხვა საჭიროების მიხედვით და მასზე მიიღოს ამომწურავი პასუხი შესაბამისი სამსახურებიდან

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. **ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები: იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი“ 645,6 ათასი ლარით და მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებზე 170,2 ათასი ლარი; პრიორიტეტის „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ ასიგნებებზე 7,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე 383,5 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,განათლება“ ასიგნებებზე 57,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე 3,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე 24,9 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის

მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 645,6 ათასი ლარით და შეადგინა 10230,8 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: დ. გულუა, ე. წურწუმია, მ. ყურუა, ფ. შონია, კ. ლატარია, ა. ნაჭყებია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნების საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის

ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და დადგენილების მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.“ მიღებულ დადგენილებაში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება იყო მითითებული, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით, რამაც გამოიწვია ძალადაკარგული აქტის ამოღება დადგენილებიდან. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, დ. გულუა, ე. წურწუმია, მ. ყურუა, ფ. შონია, კ. ლატარია, ა. ნაჭყებია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვი)

სხდომის თავმჯდომარემ (ე. ჯობავა) სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მ. ქარდავა) დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი, რადგანაც თვითონ საკრებულოს წინაშე წარსდგებოდა ანგარიშით

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - საკრებულოს თავჯდომარე).

მოისმინეს: ე. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 1 (მ. ლაგვილავა)

დადებითი – 22

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, დ. გულუა, ე. წურწუმია, მ. ყურუა, ფ. შონია, კ. ლატარია, ა. ნაჭყებია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ 2016 წლის აპრილის მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 19 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. თენგიზ აბაკელია
7. ნუგზარ შუშანია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. ლაშა ცატავა
12.დიანა გულუა
13. ალექსანდრე ნაჭყებია
14. ირაკლი ნადარაია
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. მალხაზ ყურუა
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. გიორგი ხურცილავა
24. ფრიდონ შონია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა
29. ქეთევან ოდიშარია
30. გენადი ქამანაია